ეწვიეთ ვებ-ბვეჰდს და იპოთხეთ ახალი ამბები

15 თებერვალი, 2016 N12

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ოფენოვანი
ბაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL
NEWSPAPER IN GEORGIA

საქართველო-ირანის ურთიერთობები: გამოწვევები და პერსპექტივები

გვ. 5

უვიზო რეჟიმის კვლავ შემოღება ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებში. საქართველოსა და ირანს შორის მრავალსაუკონოვან კულტურულ თუ ისტორიულ ურთიერთობებზე რომ არაფერი ვთქვათ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველომ ირანთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება დაიწყო. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ საქართველო მრავალ საშინაო თუ საგარეო პრობლემას წააწყდა. რუსეთის მხრიდან ქვეყნის არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგომის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარე აქტორების ინტერესებმა დიდწილად განსაზღვრა და მის მამოძრავებელ ძალად იქცა.

სირიის კონფლიქტი და საბჭოური მოქმედებების შეწყვეტის შეთანხმება

გვ. 7



მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ რუსეთი სირიის ოპოზიციურ ძალებს ტერორისტულ ორგანიზაციად წარმოაჩენს, რის გამოც დასავლეთის ქვეყნები კრემლს ასადის რეჟიმის დახმარებისათვის აკრიტიკებენ მისი ოპოზიციის განადგურების გზით. ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებით, თუკი რუსეთი არ შეწყვეტს თავდასხმებს ოპოზიციურ ძალებზე შეთანხმება ვერ ამოქმედდება. საერთაშორისო თანამეგობრობა კონკრეტულ რეგიონებს ვერ მიაწვდის სათანადო დახმარებას რუსული საბრძოლომო ქმედებების პირობებში. მიუხედავად ამისა, საკითხი არ არის შეთანხმებული რუსეთის წარმომადგენლობასთან, რამდენადაც სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსული სამხედრო კამპანია სირიაში გაგრძელდება. რუსეთი კონფლიქტში 2015 წელს, მას შემდეგ ჩაერთო, რაც ასადის ოპოზიციამ უპირატესობა მოიპოვა.

საქართველოს მთავარი გზავნილები ევროპავშირს
გვ. 3

ნატო ევროპაში თავდასვის მექანიზმებს აძლიერებს
გვ. 4

ანაპლიის პორტი - "აბრეშუმის გზის" მთავარი წინაპირობა
გვ. 8

საქართველოში H1N1 ვირუსით ინფიცირებულთა ოდენობა ბასილებით მაღლია ვიდრე ოფიციალურ ინფორმაციაა
ექსკლუზივი გვ. 11

მატვეი ვაისბერგი: იყო მხატვარი, ეს ბედნიერია
ექსკლუზივი გვ. 12

თბილისის "დინამო" ევროტურნირისთვის ემზადება
გვ. 15

თეიმურაზ შა

ევროკავშირი • საქართველო

ევროკავშირი აერთიანებს რეგიონის **28** სახელმწიფოს, რომელთა საერთო
- ფართობი შეადგენს 4,324,782 კმ²
- მოსახლეობა - 508 მილიონ კაცი
- მთლიანი შიდა პროდუქტი - $18.624 ტრილიონი
  (მსოფლიო მშპ-ის 18,2%)
  ერთ სულ მოსახლეზე - $35,849



ურთიერთობების ქრონიკა

1999
ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA)

2004
ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2006
საქართველო – ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება

2008
საქართველო ევროკავშირის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" (Eastern Partnership) პლატფორმის წევრი ხდება

2013
ამოქმედდა საქართველო - ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ (VLAP)

2014
ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირსა საქართველოს შორის (მათ შორის DCFTA-ს)

[1]ასოცირების ხელშეკრულებაში აღნიშნული რეფორმები რომლებიც სხვადასხვა სფეროებს მოიცავს

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI) 2014-2020

პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა ევროკავშირის მხარდაჭერის ჩარჩო პროგრამა საქართველოსადმი, რომელიც მოიცავს 2014-2017 წლებში ინტენსიურ დიალოგსა და რეფორმებს სამ ძირითად სფეროში
- საჯარო სამსახურის რეფორმა
- სოფლის მეურნეობის განვითარება
- მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერება

რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებების (AA, DCFTA, VLAP) განხორციელებას.

პროგრამის 3 წლიანი გეგმის შესრულებისთვის გამოყოფილია **€410** მილიონი.

შემდგომი პროცესები*

≈2016
ვიზა ლიბერალიზაციის ამოქმედება ევროკავშირსა და საქართველოს შორის

?
IPA სთავაზობს საქართველოს წევრობისთვის მომზადების დახმარებას

?
ევროკომისია ამტკიცებს ასოცირების ხელშეკრულების შესრულებასა და მდგრადობას

?
საქართველოს შეაქვს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე

?
ევროკავშირი სთავაზობს დამატებით სამოქმედო გეგმას; იწყება მოლაპარაკებები

?
ევროკავშირი საქართველოს წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ანიჭებს

** ინფოგრაფიკაში გამოყენებულია მოქმედი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების ინტეგრაციის მოდელი*

საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები

ევროკავშირი არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი (ვაჭრობის 26.1% სწორედ ევროკავშრის ქვეყნებთან იწარმოება). 2015 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში აღემატებოდა €2.1 მილიარდს ევროკავშირთან ვაჭრობის წილის ყოველწლიური ზრდა შეადგენს 3.4%-ს.

საქართველო ევროკავშირისთვის წარმოადგენს უმნიშვნელო სავაჭრო პარტნიორს (ვაჭრობის 0.1% იწარმოება საქართველოსთან)



საქართველოს მთავარი ბზავნილები ევროკავშირს

ანა ზანკალიანი

პრემიერ-მინისტრის რანგში გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელს, პირველი სამუშაო ვიზიტით 9-10 თებერვალს ეწვია. კვირიკაშვილმა მოლაპარაკებები ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებთან და ევროკომისრებთან გამართა. შეხვედრების დასრულების შემდეგ გაკეთდა ერთობლივი განცხადებებიც. ევროპულ საბჭოში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე დაესწრნენ.

პრემიერ-მინისტრმავიზიტიბრიუსელში ევროპული საბჭოს პრეზიდენტ, დონალდ ტუსკთან შეხვედრით დაიწყო. საპარლამენტო არჩევნები, მედია თავისუფლება, მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია - ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მხარეებმა ნახევარსაათიან შეხვედრაზე განიხილეს.

„დღეს ჩვენ განვიხილეთ საკითხების ფართო სპექტრი. ვისაუბრეთ საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე და შევთანხმდით, რომ თავისუფალი და პლურალური მედია - გარემო და ამასთანავე, ღია პოლიტიკური გარემო წარმატების გარანტია. მართლმსაჯულების მიმდინარე რეფორმები, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები არის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტები და მე ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ევროკავშირი მზად არის მხარი დაგიჭიროთ ამ მიმართულებით. ჩვენ ასევე განვიხილეთ საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის საკითხები. აღსანიშნავია, საქართველოს ამ პროცესში განხორციელებული წარმატებული რეფორმები“, - ამბობს დონალდ ტუსკი. მანვე განაცხადა, რომ თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება მას შემდეგ, რაც ასოცირების შეთანხმება სრულად შევა ძალაში. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი იზიარებს საქართველოს შეშფოთებას მცოცავი ოკუპაციის საფრთხის მხრივ და ამბობს, რომ ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

საქართველოს პრემიერ - მინისტრს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმაც უმასპინძლა. ევროკომისიაში გამართული შეხვედრის მთავარი თემები ვიზების ლიბერალიზაციის პროცესის დროული დასრულება და ასოცირების დღის წესრიგის ახალი პრიორიტეტები იყო. კვირიკაშვილმა და იუნკერმა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების განხორციელებაზეც ისაუბრეს. პრემიერმა მადლობა გადაუხადა ევროკომისიის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში მხარდაჭერისთვის და ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში მისი თანადგომის იმედი გამოთქვა.

საქართველოს მიერ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელება დადებითად შეაფასა ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანმა და კვირიკაშვილთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო თავად შეხვედრას “პროდუქტიული და მეგობრული” უწოდა. მისი თქმით, ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს.

“ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ფინალურ გადაწყვეტილებასთან”,- განაცხადა ევროკომისარმა მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსმა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველომ სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა შეასრულა, რამაც პოზიტიური შედეგები მოიტანა.

პრემიერ-მინისტრის ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ, ჰერბერტ ზალბერთან შეხვედრის მთავარი თემები იყო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესი და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჩართულობა.

კლიმატისა და ენერგო რესურსების საკითხებში ევროკომისარ მიგელ არიას კანიეტესთან შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ენერგო სექტორის განვითარებაზე ისაუბრეს. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წარმოებისკენ მიმართულ პროექტებს. მანვე ისაუბრა ქარის ელექტროსადგურის პირველი საპილოტე პროექტის შესახებაც. მხარეებმა ასევე განიხილეს სამხრეთის გაზის დერეფნისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის მნიშვნელობა, რომელიც „შაჰდენიზის” პროექტის ნაწილია. შეხვედრაზე აღნიშნა, რომ პროექტები ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ენერგო სექტორის განვითარებისკენ მიმართულ ნაბიჯებზე და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების მისწრაფებაზე საუბარი ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ, მაროშ შევჩოვიჩთან შეხვედრაზე გაგრძელდა. ევროკომისართან შეხვედრით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ორდღიანი ვიზიტი ბრიუსელში დასრულდა.

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში ვიზიტი დადებითად შეაჯამა და აღნიშნა, რომ ევროკომისიას ამომწურავი ინფორმაცია აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. „ძალიან საჭირო დისკუსია და განხილვები იყო და ეს ვიზიტიც დროულად განხორციელდა. დავტოვეთ ის შეგრძნება, რომ საქართველოში რეფორმები, რომლებიც გამომდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგიდან, ხორციელდება სრული კურსით და არავითარი შეფერხებები არ შეიძლება შეექმნას ამ რეფორმებს,“ - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოსთან მიმართებით კიდევ ერთი განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმაც გააკეთა. თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე მან ხაზი გაუსვა ნატოს მტკიცე პოზიციას - დაეხმაროს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე.

ბრიუსელში ნატო - საქართველოს კომისიის სხდომაზე, რომელიც 11 თებერვალს ჩატარდა, საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ის რეფორმები განიხილეს, რომლებიც ქვეყანას ნატოსთან დაახლოებაში ეხმარება.

ნატო ევროპაში თავდასვის მექანიზმებს აძლიერებს

ეკა ფხოველიშვილი

ბრიუსელში 10-11 თებერვალს ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა გაიმართა. მინისტერიალის მთავარი თემები სირიაში განვითარებული მოვლენები და ახალ საფრთხეებთან დაკავშირებით ნატო-ს უსაფრთხოების კონცეფცია იყო. შეხვედრის მიმდინარეობის დროს ტერორიზმზე, ლტოლვილების კრიზისზე, მიგრაციაზე, რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხესა და სირიაში რუსეთის ქმედებებზე მსჯელობდნენ. როგორც ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი მოელოდა, ნატო-ს თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთის ფლანგზე ალიანსის გაძლიერებას. ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, დამატებით გადაწყვეტილებებს ვარშავაში, ივლისში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე მიიღებენ.

„შევთანხმდით პრინციპებზე ნატო-ს თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობების მოდერნიზების მიზნით. ნატო-ს თავდაცვის მინისტრების გადაწყვეტილების ფარგლებში, აღმოსავლეთ ნაწილში გაძლიერდება პოზიციები. ეს მოხდება მრავალეროვნული ძალისხმევით. გარკვევით რომ ითქვას: ერთ-ერთ მოკავშირეზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ყველა მოკავშირეზე და მასზე რეაგირებას მთელი ალიანსი მოახდენს“, - განაცხადა სტოლტენბერგმა ნატო-ს მინისტერიალის პირველი დღის დასრულების შემდეგ.

სტოლტენბერგის განმარტებით, აღმოსავლეთის ფლანგზე ალიანსის ძალების გაზრდის მიზეზი რუსეთის აგრესიული ქმედების შედეგად უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანის გართულებაა. მინისტერიალის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა და საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელისა და ნატო-ს გენერალურ მდივანს შორის შეხვედრა გაიმართა. ხიდაშელის განცხადებით, „თავდაცვის მინისტერიალში საქართველო მონაწილეობს, როგორც ნატო-ს სრულფასოვანი პარტნიორი და შესაბამისად, ჩართულია იმ დისკუსიებში, რომლებიც შეეხება უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას“. მათ შორის, მინისტრის თქმით, ყველაზე საინტერესო საქართველოსთვის შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემაა, რომელიც აქტუალური ყირიმის მოვლენების შემდეგ გახდა.

შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების კონტექსტში საქართველო რამდენჯერმე ახსენა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, ნატო ერთგულად ეხმარება საქართველოს სვლას ალიანსის წევრობისაკენ. „ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოსთან, როგორც ჩვენს ახლო პარტნიორთან. ეს თანამშრომბლობა არის ნაწილი ნატო-სა და საქართველოს მჭიდრო ურთიერთობისა და, რა თქმა უნდა, შეესაბამება იმ გამოწვევებს, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ შავ ზღვაზე“, - განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

სტოლტენბერგის ინფორმაციით, ყველა მოკავშირე მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს, შეცვალოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილება. „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია“, - დასძინა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაქ ობამა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნატო-ს ქვეყნებში მძიმე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს. ეს იქნება თეთრი სახლის ნაბიჯი, რომელიც მიმართულია რუსეთის მხრიდან რეგიონში შესაძლო აგრესიის შეკავებისაკენ. ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებაზე ოფიციალური მოსკოვის პასუხი ერთი შეხედვით გულგრილია. რუსეთის პოლიტიკური ელიტის განცხადებით, ისინი დიდ ყურადღებას არ უთმობენ აღმოსავლეთით ნატო-ს ძალების გაძლიერებას, რადგან ალიანსი მოქმედებს, როგორც შემაკავებელი ძალა და არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს ბირთვულად შეიარაღებული რუსეთისათვის.

„მე ვფიქრობ, რომ ალიანსის ახალი სტრატეგია უფრო პოლიტიკური გამოწვევაა რუსეთისათვის, რადგან ეს ნიშნავს ამერიკის ეგიდით არსებული ორგანიზაციის გავლენის გაზრდას. ჩვენ ამ სივრცეს ვუწოდებთ უსაფრთხოების ზონას, დასავლეთი კი - თავდაცვისას“, - განაცხადა მოსკოვის კარნეგის ცენტრი დირექტორმა დიმიტრი ტრენინიმ. აშკარაა, რომ გაზრდილი სამხედრო პოტენციალი ვლადიმერ პუტინისათვის იქნება სიგნალი, რომ დასავლეთი კვლავ ეჭვის თვალით უყურებს მის მიზნებს ევროპის რეგიონში. ეს არის გრძელვადიანი პასუხი ცივი ომის შემდგომ დამკვიდრებული ევროპის უსაფრთხოების ახალ გარემოზე და ასახავს სიტუაციას, რომელშიც ნატო სწრაფად მოერგო ახალ გამოწვევეს, ხოლო რუსეთი უფრო რთული მოთამაშე გახდა. როგორც ჩანს, რომ დასავლეთი კვლავ ერთგული რჩება გაგრძელოს რუსეთის შეკავების პოლიტიკა და გააძლიეროს პარტნიორობა ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც.

საინტერესოა, თუ რა გავლენას მოახდენს საქართველოზე დასავლური ალიანსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღმოსავლეთის ფლანგის გაძლიერების შესახებ. ივლისში ნატო-ს ვარშავს სამიტი საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია, რადგან, შესაძლებელია, დღის წესრიგში დადგეს საქართველოსათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გადმოცემა ან პირიქით, კიდევ უფრო შენელდეს ეს პროცესი. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისთვის უკვე ბევრი სამუშაო აქვს შესასრულებელი და კვლავ აგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების ასრულებასაც. მიმდინარე მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვანია, საქართველომ განაგრძოს რეფორმები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით. ვინაიდან, ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა ხელსაყრელი გარემოს შექმნა უსაფრთხოების სისტემისათვის, მიუკერძოებელი სასამართლოსა და სიტყვის თავისუფლებისთვის. გარდა ამისა, მთავრობამ არ უნდა შეაჩეროს ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ მიმართული ძალისხმევა ქართულ ელიტასა და საზაგადოებაში ინტეგრაციის ნელი ტემპით გამოწვეული შესაძლო იმედგაცრუების გამო.



საქართველო-ირანის ურთიერთობები: გამოწვევები და პერსპექტივები

ბერამ ფცქიალაძე

საქართველოსა და ირანს შორის ახალი შეთანხმების შედეგად, ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმი 15 თებერვალს გაუქმდება. ამის შესახებ განცხადება საქართველოში ირანის ელჩის მოადგილემ, მოჰსენ კებრაიამ გააკეთა. ირანის წარმომადგენელისვე განცხადებით, უვიზო რეჟიმის 2013 წლის 1 ივლისიდან გაუქმებამ საქართველოსა და ირანს შორის მიმოსვლა და სავაჭრო ურთიერთობები შეამცირა.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია ირანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, აბას თალებ ფარის შეხვდა 8 თებერვალს და აცნობა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებულ საკითხზე.

ამავე დროს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოცემულ საკითხზე ირანის პრეზიდენტს ესაუბრა და წინასწარი შეთანხმება სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე უკვე მიღწეულია. ამის გარდა, მათ ქართულ და ირანულ მხარეებს შორის მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებზეც ისაუბრეს და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების სურვილიც გამოთქვეს.

საქართველოს მხრიდან უვიზო რეჟიმის კვლავ შემოღება ითვალისწინებს შემდეგს: ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ მოქმედ ორდინალურ პასპორტებს, უფლება ექნებათ ისარგებლონ, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი შესვლის დღიდან, ვიზის გარეშე ორმოცდახუთ დღემდე ყოფნის უფლებით.

მოჰსენ ქებრაიამ ირანის საერთო პოზიცია დააფიქსირა საქართველოს პოლიტიკაზე მისი ქვეყნის მიმართ, როდესაც ქართულმა მხარემ უვიზო რეჟიმის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. მისი თქმით, ირანული მხარე გაგებით ეკიდებოდა საქართველოს მდგომარეობას, რომელიც ითვალისწინებდა დასავლელი პარტნიორების რჩევებს ირანთან მიმართებით.

უვიზო რეჟიმის კვლავ შემოღება ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებში. საქართველოსა და ირანს შორის მრავალსაუკონოვან კულტურულ თუ ისტორიულ ურთიერთობებზე რომ არაფერი ვთქვათ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველომ ირანთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება დაიწყო. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ საქართველო მრავალ საშინაო თუ საგარეო პრობლემას წააწყდა. რუსეთის მხრიდან ქვეყნის არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგომის შემდეგ საქართველოს საგარეოპოლიტიკაგარეაქტორების ინტერესებმა დიდწილად განსაზღვრა და მის მამოძრავებელ ძალად იქცა. ქვეყანამ ჯერ საგარეო პოლიტიკის დაბალანსება დაიწყო შემდგომ კი დასავლეთთან ახლო ურთიერთობების დამყარება დაისახა მიზნად (დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანება და აშშ-ზე დაყრდნობა).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მოსკოვმა საქართველოს შევიწროება და დასუსტება განიზრახა, ოფიციალურმა თბილისმა საკუთარი საგარეო ურთიერთობების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდა დაიწყო. რუსეთის მხრიდან დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ საქართველომ რეგიონალური საგარეო პოლიტიკა გადააფასა. ამ დროს აშშ „გადაყენების პოლიტიკას“ აწარმოებდა რუსეთთან (ერთი მხრივ, აშშ-ს რუსეთი სჭირდებოდა ლიბიის საკითხში მხარდაჭერისთვის, რუსეთს კი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად ხელს აძლევდა აშშ-სთან ურთიერთობების ახალ ფაზაში გადაყვანა), რის გამოც მისი საქართველოსთან უსაფრთხოების მხრივ არსებული კავშირები თანდათან შესუსტდა. აშშ-ის მხრიდან, ზოგადად, სამხრეთი კავკასიის რეგიონის საგარეო პოლიტიკის როლში დაცემამ საქართველო აიძულა, მხოლოდ დასავლეთზე არ ყოფილიყო დაყრდნობილი უსაფრთხოების თვალსაზრისით და რეგიონის სხვა ძალებთანაც გაეღრმავებინა ურთიერთობები.

ამისთვის საქართველომ გადაწყვიტა საგარეო პოლიტიკის სპექტრის გაფართოება და ირანთან დაახლოება. ირანისთვის სამხრეთი კავკასიაში გავლენის გაზრდა, როგორც რეგიონალური ძალის დამკვიდრება ერთ-ერთი საგარეო პრიორიტეტია, რასაც წლების განმავლობაში ცდილობს. მის მცდელობას დიდი წინააღმდეგობა ახლავს დასავლეთის მხრიდან სანქციების დაწესების გამო. საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავება მისთვის საკმაოდ ხელსაყრელი ჩანდა. ირანული მხარისთვის საქართველოსთან ურთიერთობაში ყველაზე დიდი უხერხულობა გახლდათ ქვეყნის დასავლური ორიენტაცია და მისი გავლენა საქართველოს საგარეო გადაწყვეტილებებზე. ირანისთვის არც ისე მისაღებია ისეთ ქვეყანასთან მჭიდრო პარტნიორობა, რომელიც დასავლეთთან კავშირს ამყარებს. საქართველოსთან ირანის ურთიერთობას თან გასდევდა მუდმივი შიში, რომ საქართველო - აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში აშშ-ს, შესაძლოა, გამოეყენებინა ერთგვარ პლაცდარმად მის წინააღმდეგ. ამის გამო ოფიციალური თეირანი მუდმივად გამოთქვამდა წუხილს თბილისთან ურთიერთობაში ნატოსთან დაახლოებაზე, რასაც რეგიონის დესტაბილიზაციის განმაპირობებლად მიიჩნევდა.

ამის მიუხედავად, აანალიზებდა რა, რომ ქართულ მთავრობაზე გავლენის მოხდენის სუსტი ბერკეტები გააჩნდა, თეირანი პრაგმატულ პოლიტიკას მიმართავდა საქართველოსთან ურთიერთობისას. აგვისტოს ომის შემდგომი მოვლენებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ირან-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება. ერთი მხრივ, ირანზე სანქციების დაწესებაზე რუსეთის თანხმობამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე გავლენა იქონია. ასევე, მართალია, ირანს ოფიციალურად რუსეთის ქმედებები აგვისტოს მოვლენების მიმართ არ დაუგმია, მაგრამ თავი შეიკავა რომელიმე მხარის დაჭერაზე და უარი განაცხადა დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებაზე, რის გამოც თეირანმა საქართველოს თვალში საკუთარი რეპუტაცია და პრესტიჟი აიმაღლა.

ცალსახაა, რომ ირანი საკმაოდ ანგარიშგასაწევი რეგიონული სახელმწიფოა, რომელსაც დიდი ამბიციები აქვს ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ავღანეთსა და პაკისტანში, თუმცა მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაზე შედარებით სუსტია, რასაც თავისი მიზეზები აქვს: სამხრეთი კავკასიაში გავლენის მოპოვების ორი მთავარი პრეტენდენტი რუსეთი და თურქეთი არიან და ირანის ადგილი ამ შემთხვევაში ნაკლებად მოიძებნება. მეორე, ირანის უსაფრთხოების ინტერესები უფრო მეტადაა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიისკენ მიმართული, ვიდრე კავკასიისკენ (თუმცა დღემდე “დამოკლეს მახვილად” რჩება ირანის ჩრდილოეთში მცხოვრები მრავალი მილიონი აზერბაიჯანელი, რის გამოც ირანს მუდმივად აზერბაიჯანული ირედენტიზმის შიში აქვს და აზერბაიჯანთან ურთიერთობისას მათ ფაქტორს ყოველთვის ითვალისწინებს).

ზემოთ ნახსენებმა აგვისტოს მოვლენებმა პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში გარკვეულწილად შეცვალა. აშკარა გახდა, რომ რუსეთი მთავარ მოთამაშედ რჩება რეგიონში, რის გამოც ირანი შედარებით ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, რუსეთის წინააღმდეგ რომ არ წასულიყო. მეორე მხრივ, ირანის რეგიონის უფრო მეტად დაინტერესება თურქეთის მზარდი გავლენითაც აიხსნება. ირანის ინტერესში თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დაახლოება არ შედის.

ირანს სომხეთთან აზერბაიჯანზე კარგი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები აქვს და მაშინ, როდესაც აზერბაიჯანსა და ირანს დიდი რელიგიური, კულტურული და ისტორიული კავშირები გააჩნიათ, ირანი ორ მხარეს შორის არსებულ კონფლიქტში სომხეთის მხარეს იჭერს (ამ შემთხვევითაც ნათელი ხდება, რომ რელიგიურ სიმპათიებზე წინ სახელმწიფო ეროვნულ უსაფრთხოებას აყენებს).

ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე საერთაშორისო არენაზე შექმნილი სიტუაცია მუდმივად ახდენს გავლენას და ორი ქვეყნის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური მიმართულებები განუწყვეტლივ მოქმედებს მათს ურთიერთობებზე: საქართველო დასავლეთისკენ მიისწრაფვის, დასავლეთისთვის ირანი საფრთხედ აღიქმება, ირანისთვის კი - დასავლეთი. 2008 წელს საქართველომ აშშ-ის მთავრობას თანხმობა განუცხადა ირანის მოქალაქეების გადაცემაზე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ფულის გამოძალვასა და თაღლითობაში.

ირანმა დაგმო საქართველოს ქმედება და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში გარკვეული ბზარი გაჩნდა. ურთიერთობების გამოსწორება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ითავა, რომელიც თეირანს 2010 წლის იანვარში ესტუმრა და პრეზიდენტ აჰმადინეჯადის შეხვდა.

FACT-ანალიტიკა

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

დასავლეთსა და ირანს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ და სანქციების გაზრდამ საქართველო-ირანზე უარყოფითად იმოქმედა, რისი შედეგიც ის გახლდათ, რომ საქართველომ ირანთან 2013 წელსუვიზო რეჟიმი გააუქმა. მისი მიზეზი მარტივია: საქართველომ გარკვეულწილად შესწირა ირანთან ურთიერთობები დასავლეთთან დაახლოებას, რის გამოც ირანთან ეკონომიკური კავშირებიც შესუსტდა. დასავლეთსა და ირანს შორის ურთიერთობების შედარებით გამოსწორება საქართველოსთვის დადებითად ფასდება, რადგან საქართველოს მეტი შესაძლებლობა მიეცემა, ირანთან სხვადასხვა სახის ურთიერთობები გააღრმავოს, ამ დროს კი ირანს ნაკლები შიში ექნება, რომ დასავლეთთან დაახლოებული საქართველო რაიმე სახის პრობლემას შეუქმნის.

2013 წლის 20 ივნისს *The Wall Street Journal*-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, საქართველოში სულ უფრო იზრდება ირანელების ინვესტიცია. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ საქართველოში ირანული კაპიტალით შექმნილია 150 მცირე თუ საშუალო კომპანია, ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის მიერ საერთაშორისო სანქციებისგან თავის დაღწევის მიზნით. თუმცა ირანიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა საქართველოში აშკარად შემცირებული იყო უვიზო რეჟიმის გაუქმების გამო. ამავე დროს, ქართულმა მხარემ გაერო-ს მორიგი რეზოლუციის ფარგლებში დაიწყო იმ ირანელებისთვის საბანკო ანგარიშების გაყინვა, ვინც რეზოლუციის სიაში იყო შესული.

ბირთვულ იარაღის წარმოების გამო გაერო-მ ირანს სანქციები პირველად 2006 წლის დეკემბერში დაუწესა, რომლითაც აიკრძალა ირანში გარკვეული სახის მასალებისა და მოწყობილობების შეტანა, საბანკო ანგარიშები გაეყინა იმ ფიზიკური და იურიდიულ პირებს, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ბირთვულ იარაღის წარმოებასთან ირანში. 2010 წლის ივნისში გაეროს უშიშროების საბჭომ ამავე საკითხზე კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც გაამკაცრა სანქციები ირანისთვის. გაერო-ს უშიშროების საბჭომ 2013 წლის 5 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რითაც 2014 წლის 9 ივლისამდე გახანგრძლივდა ექსპერტთა ჯგუფის მანდატი, რომელიც ირანისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმის დაცვას აკვირდება.

საქართველო - ირანის ეკონომიკური ურთიერთობები უპირველესად ენერგორესურსებს გულისხმობს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთზე ენერგო და ეკონომიკური დამოკიდებულების შესუსტდება სურდა, ირანი ამისთვის შესაფერისი პარტნიორი ჩანდა, რომელსაც ენერგო - რესურსების ალტერნატიულ წყაროდ განიხილავდა. მანამდე ირანმა საქართველოს დიდი დახმარება გაუწია, როდესაც რუსეთმა 2006 წელს საქართველოს შეუწყვიტა გაზის მიწოდება. მოსკოვის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, ირანი საქართველოსთვის ენერგო - რესურსების დაბალ ფასად მიწოდებას განაგრძობდა.

გასულ დეკადაში ორმა მხარემ ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ წინ წასწია. ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ორმხივი ტაქსაციის გაუქმებას, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობასა და სავაჭრო ურთიერთობების გაზრდას. სავიზო რეჟიმის გაუქმებამ 2011 წლის იანვარში კიდევ უფრო შეუწყო ხელი ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს.

უვიზო რეჟიმის შემოღების შედეგად საქართველოში ირანული ვაჭრობისა და ტურიზმის მაჩვენებლები საკმაოდ გაიზარდა. იმპორტმა 99.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ირანელი ტურისტების რაოდენობამ კი 318,38 პროცენტით იმატა და წლიურ 89,170 ტურისტს მიაღწია. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა 118,5 მილიონი დოლარით გაიზარდა. წინ წამოიწია ირანულმა ბიზნესმაც.

საქართველო-ირანის ურთიერთობებს შორის დაბრკოლებლად საქართველოს არც ევროკავშირში და არც ნატო-ში გაწევრიანება არ მოიაზრება. ირანში კარგად ხვდებიან, რომ, თუკი ერთს ან მეორეს მათთვის რაიმე ზიანის მიყენება უნდათ, ამას საქართველოს გარეშეც კარგად გააკეთებენ, ამიტომ ირანის პოზიცია საქართველოს დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანების მხრივ დადებითი თუ არა, ნეიტრალური ნამდვილადაა. უნდა აღინიშნოს, რომსაქართველოსევროკავშირთად დაახლოება ირანისთვისაც შეიძლება მომგებიანი აღმოჩნდეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად, მით უმეტეს სანქციების მოხსნის შემდეგ.

მაშინ, როდესაც ირანელები საქართველოსთან ურთიერთობებში უფრთხობდნენ მის მიმართ აშშ-ის შესაძლო ზეგავლენას, ორ მხარეს შორის ურთიერთობის განმუხტვის შედეგად ეს შიშიც, ცხადია, შესუსტდება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ირანისა და საქართველოს ურთიერთობების გააქტიურებას არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ორმხრივი დადებითი ურთიერთობა როგორც დასავლეთთან, ისე ირანთან საქართველოს პოტენციურად მოიაზრებს, როგორც ერთგვარ შუამავალს, რომელსაც შეუძლია მათი ურთიერთობების დარეგულირებაში პოზიტიური წვლილის შეტანა.

რუსეთი საქართველო - ირანის ურთიერთობების გაუმჯობესებას შეაფასებს, როგორც მისი სტრატეგიული გეგმებისთვის დარტყმის განხორციელებას სამხრეთ კავკასიაში, სადაც მას მხოლოდ სრული ჰეგემონობა სურს და ნეგატიურად უყურებს სხვა რომელიმე ძალის (თურქეთის, ირანის, დასავლეთის) პოზიციების გამყარებას. ირანს შეუძლია, საქართველოსთვის ენერგო - რესურსების ალტერნატიული წყარო გახდეს, რის შედეგადაც საქართველოს რუსეთის მიმართ ენერგო - დამოკიდებულება შესუსტდება. ენერგო - ექსპორტის დივერსიფიცირება საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ შედარებით მარტივად გადაიტანოს რომელიმე წყაროს რაიმე სახის შეფერხება.

აშკარაა, რომ სავიზო რეჟიმის კიდევ ერთხელ გაუქმება გაზრდის ირანიდან ტურისტების რაოდენობას, რაც ცალსახად დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დასავლეთის სანქციების ზეგავლენის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებამ უვიზო მიმოსვლის გაუქმებაზე საკმაოდ შეამცირა, ერთი მხრივ, ირანიდან შემოსული ინვესტიციები და იმპორტი, მეორე მხრივ, ტურისტების რაოდენობა და, ზოგადად, ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

საერთო ჯამში, უვიზო რეჟიმის შემოღება გამოიწვევს მეტი ტურისტის ჩამოსვლას, მეტ ინვესტიციას, გაზრდილ იმპორტსა და ექსპორტს, ირანული ინვესტიციების მეტად შემოსვლას, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, კულტურული კავშირების გამყარებას, პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას. ირანზე სანქციების მოხსნამ მას ქმედებების მეტი თავისუფლება უნდა მისცეს, რასაც ისლამური რესპუბლიკა აშკარად გამოიყენებს სამხრეთი კავკასიაში საკუთარი პოზიციის გასამტკიცებლად, რისთვისაც საქართველო შეიძლება კარგ პარტნიორად იქცეს.

სირიის კონფლიქტი და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შეთანხმება

ბიოხბი ჩაფიძე

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე წამყვანი ქვეყნები სირიაში შემდეგი კვირიდან საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ანდაც პაუზა საბრძოლო მოქმედებებში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაცხადეს. შეთანხმებამ განაახლა თებერვლის დასაწყისში უშედეგოდ დასრულებული ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები. ზოგიერთი დიპლომატის განცხადებით, აღნიშნული შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რადგანაც მიზნად მხოლოდ მხარეების მოლაპარაკების მაგიდაზე დაბრუნებას ისახავს. აგრეთვე გაურკვეველი რჩება, მოიცავს თუ არა შეთანხმება რუსეთის მიერ ალეპოს დაბომბვის შეწყვეტას, რაც ხშირად დასავლეთის მიერ სირიის მმართველი რეჟიმის ხელშეწყობად არის აღქმული.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ითვალისწინებს რამდენიმე პირობას, რომელთაგან აღსანიშნავია ალყაში მოქცეული ტერიტორიებისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა და საფუძვლის მომზადება გაერო-ს პოლიტიკური ტრანზიციის გეგმის განხორციელებისათვის. გარდა ამისა, სირიის დამხმარე საერთაშორისო ჯგუფის 17 წევრი შეთანხმდა, რომ გაზრდის და დააჩქარებს დახმარების მიწოდებას ალყაში მოქცეული სამოქალაქო პირებისათვის. მუხედავად ამისა, ჯონ კერის არ განუცხადებია, რომ ეს არის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, არამედ მას უწოდა „პაუზა“ საბრძოლო მოქმედებებში. იმის გათვალისწინებით, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები არ იყო შესრულებული ხელმომწერთა მიერ, სირიელ ხალხს არ აქვს გადაჭარბებული მოლოდინები აღნიშნულ ხელშეკრულებაზე.

გაეროს სპეციალურმა დესპანმა სირიაში შტეფან დემისტურამ განაცხადა, რომ სირიის კონფლიქტი ვერ მოგვარდება ცეცხლის შეწყვეტის ერთი შეთანხმებით. მიუხედავად ამისა, მას ჯერა, რომ ორივე მხარე თავს შეიკავებს იარაღის გამოყენებისაგან, რაც დიდ განსხვავებას მოგვცემს.

მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ რუსეთი სირიის ოპოზიციურ ძალებს ტერორისტულ ორგანიზაციად წარმოაჩენს, რის გამოც დასავლეთის ქვეყნები კრემლს ასადის რეჟიმის დახმარებისათვის აკრიტიკებენ მისი ოპოზიციის განადგურების გზით. ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებით, თუკი რუსეთი არ შეწყვეტს თავდასხმებს ოპოზიციურ ძალებზე შეთანხმება ვერ ამოქმედდება. საერთაშორისო თანამეგობრობა კონკრეტულ რეგიონებს ვერ მიაწვდის სათანადო დახმარებას რუსული საბრძოლომო ქმედებების პირობებში.

მიუხედავად ამისა, საკითხი არ არის შეთანხმებული რუსეთის წარმომადგენლობასთან, რამდენადაც სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსული სამხედრო კამპანია სირიაში გაგრძელდება. რუსეთი კონფლიქტში 2015 წელს, მას შემდეგ ჩაერთო, რაც ასადის ოპოზიციამ უპირატესობა მოიპოვა. მიუხედავად იმ განცხადებებისა, რომ მხოლოდ „ისლამურ სახელმწიფოზე“ მიიტანდნენ იერიშს, კრემლის მთავარი ძალისხმევა სირიის თავისუფალი არმიის განადგურებას ხმარდება. სირიის თავისუფალი არმია ასადის მოწინააღმდეგე მთავარი ოპოზიციური ჯგუფია, რომელიც არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით 2011 წელს ჩამოყალიბდა. რუსეთის ჩართვის შემდეგ კი, სიტუაცია ასადის სასარგებლოდ შეიცვალა.

დღესდღეობით სირიის არმია რუსეთის დახმარებით ცდილობს ქვეყნის მთავარი ქალაქის ალეპოს დაკავებას. სირიის არმიას ამ პირობებში ოპოზიციის კონტროლის ქვეშ მყოფი ალეპოს აღების შესაძლებლობა აქვს. მსოფლიო ლიდერები კი აცხადებენ, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები, რათა ქალაქში ჰუმანიტარული დახმარება შევიდეს.

შეთანხმების მთავარი მიზანია, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები. დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციები ძნელად მისაწვდომ ადგილებში შეღწევასაც იმედოვნებენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მონაწილე მხარე შიმშილს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს.

შეთანხმება არ მოიცავს იმ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს ან ალ-ქაიდას სირიული წარმომადგენლობის ალ-ნურსას წინააღმდეგაა მიმართული. ეს ორგანიზაციები ტერორისტულ დაჯგუფებებადაა ცნობილი როგორც დასავლეთის ქვეყნების, ასევე რუსეთის მხრიდან. სიტუაცი მწვავდება ლავროვის განცხადების პარალელურად, რომელიც ამბობს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება არ ეხება ტერორისტულ ორგანიზაციებზე თავდასხმას, ანუ იმას, რასაც რუსეთი, მინისტრის თქმით, ალეპოში აკეთებს. ისლამური სახელმწიფო და ალ-ნურსა სირიის სამთავრობო ძალების სამიზნეა, რომლებიც დამასკოსა და ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში არიან კონცენტრირებულნი. ასადის ძალები ასევე ებრძვიან ოპოზიციურ დაჯგუფებებს, რომლებიც განლაგებულნი არიან სირიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. რუსეთი ებრძვის სირიულ ოპოზიციას მაშინ, როდესაც დასავლეთი მას ბრალს სდებს, რომ არ ცდილობს ნამდვილი ტერორისტების განადგურებას და ხელს უშლის კოალიციის სხვა ძალებს, რომლებიც ჯიჰადისტებს ებრძვიან.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სირიულ ოპოზიციაზე შეწყვეტს თავდასხმას ეს ჰუმანიტარული დახმარებისათვის კარის გახსნას მაინც არ ნიშნავს. არ არსებობს გარანტია, რომ ასადის ძალებიც დაემორჩილებიან შეთანხმებას, მით უმეტეს ასადის რეჟიმზე ამგვარი გავლენა რუსეთსაც არ გააჩნია. თუკი ასადის მომხრეები შეწყვეტენ ბრძოლას მაინც რჩება აჯანყებულთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებმაც, შესაძლოა შეთანხმება დაარღვიონ. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ნამდვილი შედეგი საკმაოდ თავმდაბალი და ბუნდოვანია.

რუსეთის გაერო-ში მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის განცხადება ნათლად წარმოაჩენს კრემლის პოზიციას. მან თებერვლის დასაწყისში უშედეგო სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდგომ აღნიშნა, რომ რუსეთი არ შეწყვეტს ცალმხრივად საბრძოლო მოქმედებებს, რადგანაც არ არსებობს გარანტია, რომ ოპოზიციური ძალებიც იმავეს გააკეთებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდა „ოპოზიციურმა დელეგაციამ დატოვა. სამწუხაროდ, ჩანდა, რომ ის დასავლელი კოლეგების მიერ იყო გამხნევებული“.

სირიის ამჟამინდელი მდგომარეობისა და მონაწილე მხარეების რაოდენობის გათვალისწინებით, ზოგიერთ პოლიტიკოსს სჯერა, რომ ეს შეთანხმებაც პოზიტიურ ნაბიჯად უნდა იქნეს განხილული. თუ რომელიმე აქტორი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას დაარღვევს არსებობს ალბათობა, რომ ძირითადი ქვეყნები - რუსეთი და აშშ აგრეთვე შეწყვეტენ შეთანხმების პირობების დაცვას სტრატეგიული მიზნების დასაცავად. მიუხედავად ამისა, ეს დამოკიდებულია შეთანხმების დარღვევის მასშტაბზე - მან შეიძლება დაუყოვნებლივი ჩართვა მოითხოვოს, ანდაც მისი პირობების დაცვა უფრო სტრატეგიული ჩანდეს. ერთი გარემოება აშკარაა - ვინც არ უნდა დაარღვიოს შეთანხმება, დიპლომატიური პასუხისმგებლობა დაეკისრება და ის შეიძლება აღარ მონაწილეობდეს მომდევნო სამშვიდობო მოლაპარაკებებში. აგრეთვე არსებობს შანსი, რომ ამ შეთანხმებით ექსტრემისტული დაჯგუფებები უფრო ისარგებლებენ, ვინაიდან მათ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დაცვა არ მოეთხოვებათ. აგრეთვე სავარაუდოა, რომ რუსეთი და ასადის რეჟიმი შეთანხმებას ოპოზიციის გასანადგურებლად გამოიყენებს იმაზე აპელირებით, რომ ტერორისტულ დაჯგუფებას ანადგურებენ. შესაბამისად, ეს შეთანხმება რუსეთს კონფლიქტში საკუთარი პოზიციის გაძლიერებაში შეიძლება დაეხმაროს.

ანაკლიის პორტი - "აბრეშუმის გზის" მთავარი წინაპირობა

თამარ უმფრიანი

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა 2016 წლის ივნისიდან დაიწყება. ორწლიანი მუშაობის შემდეგ სპეციალურად შექმნილმა სამთავრობო კომისიამ კონკურსში გამარჯვებული კომპანია გამოვალინა. 5 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას ტენდერში გამარჯვებული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი" წარუდგინა. მისი თქმით, ახალი პორტი არის „აბრეშუმის გზის" კონცეფციის სრულმასშტაბიანად ამოქმედების უმთავრესი წინაპირობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. მანვე იმედი გამოთქვა, რომ პასუხისმგებელი კომპანია სამუშაოებს დათქმულ ვადაში დაასრულებს.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი" „TBC ჰოლდინგისა" და „კონტი ინტერნეშენალის" მიერ ერთობლივად დაარსებული კომპანიაა. „კონტი ინტერნეიშენალი" აშშ-ში ინფრასტრუქტურული და კაპიტალური პროექტების მიმართულებით ცნობილი დეველოპერული კომპანიაა, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის ასწლოვანი გამოცდილება აქვს. ასევე, პორტის მშენებლობაზე პასუხმგებელი არიან მათი პარტნიორები, საზღვაო პორტების ცნობილი სადიზაინერო კომპანია „მოფატი და ნიკოლი" და წამყვანი ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანია საპორტო ტრანზაქციების საკითხებში „მერითაიმ ენდ თრანსპორთ ბიზნეს სოლუშენზი".

2014 წელს ანაკლიის პორტის მშენებლობის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში პირველ ეტაპზე ინტერესი 14-მა კომპნიამ გამოთქვა, მათგან მთავრობის სპეციალურმა კომისიამ შემდეგი ეტაპისთვის 7 შეარჩია. საბოლოო პროექტის წარდგენის უფლება კი მხოლოდ ორს მიეცა, რომელთაგან ერთ-ერთი უკვე გამარჯვებული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმია". მეორე კი ქართველი ბიზნესმენის თემურ ქარჩავას მიერ დაარსებული კონსორციუმი, რომელშიც პარტნიორებად მისი კომპანია „ანაკლიის პორტი" და ჩინური „Power China" მოგვევლინენ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის განმარტებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია სპეცილურად კონკურსისთვის შექმნილი ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით შეირჩა :

1. **ფინანსური კრიტერიუმი** - კომპანიას უნდა ეჩვენებინა ფინანსური ვალდებულების საბნკო გარანტია, რისი მინიმალური ოდენობაც 20 მილიონი აშშ დოლარით იყო განსაზღვრული.

2. **ტექნიკური კრიტერიუმი** - კონცეფცია, რომელიც ფასდებოდა პორტის წინასწარი დიზაინის, განხორციელების გრაფიკის, ოპერაციების მართვის სისტემის, ადგილობრივი განვითარების გეგმისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

3. **ეკონომიკური კრიტერიუმი** - წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფინანსური მოდელი, რომელშიც ასახული იქნებოდა შეთავაზების ფინანსური და ეკონომიკური სიმყარე. ასევე, მარკეტინგული კონცეფცია და ნავსადგურში ტვირთის მოზიდვის გეგმა.

4. **სამართლებრივი კრიტერიუმი** - კომენტარები და შენიშვნები საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით.

შეთანხმების თანახმად, ინვესტორი ვალდებულია უზრუნველყოს ნავსადგურის მშენებლობა, ოპერირება და საინვესტიციო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (აღნიშნული ხელშეკრულებით 49 წელი) პორტის სახელმწიფოსთვის დაბრუნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინვესტორი პასუხისმგებელია კონტრაქტით მისთვის გადაცემული გარემოს დაცვაზე.

„ჩვენ გვინდა, საფუძველი ჩავუყაროთ პორტს და ვიმუშავოთ საქართველოს მთავრობასთან ერთად, რათა წინ წავწიოთ ახალი გზა აზიიდან ევროპამდე და ამით ეკონომიკური პოტენციალი გავუხსნათ საქართველოს მეზობლებსაც", – აცხადებს „კონტი ინტერნეშენალის" გენერალური დირექტორი კურტ კონტი. „TBC ჰოლდინგის" წარმომადგენელი ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე კი აღნიშნავს, რომ პროექტის ფარგლებში ათასობით ადგილობრივი დასაქმდება. კონტრაქტის მიხედვით, ნავსადგურის მშენებლობა ცხრა ფაზას მოიცავს. საბოლოოდ ის 400 ჰექტარზე განთავსდება და ოპერირებას სამ წელიწადში დაიწყებს, როცა მისი წლიური გამტარიანობა 7 მილიონ ტონა ტვირთს მიაღწევს. პროექტის დასრულების შემდეგ კი, ტვირთის რაოდენობა 100 მილიონამდე გაიზრდება. აღნიშნული შედეგის მიღწევით საქართველოს „აბრეშუმის გზის" კონცეფციის განხორციელების რეალური პოტენციალი გაუჩნდება. ბათუმისა და ფოთის მოქმედ პორტებში მეგასაზღვაო ლაინერების შემოსვლა ვერ ხერხდება წყლის სიღრმისა და საჭირო ტექნოლოგიების არარსებობის გამო. მსგავს შემთხვევებში ლაინერები თურქეთში, სტამბოლის პორტში ჩერდებიან, სადაც ტვირთი მცირე ზომის გემებზე გადააქვთ და საქართველოს ნავსადგურებში შემოაქვთ.

2014 წელს კონტეინერების ტევადობა წინა წელთან შედარებით 18.4% - ით გაიზარდა და 480,000 TEU-ს მიაღწია, რომლის 80% ფოთის პორტმა მიიღო. მიუხედავად პროგრესისა, ბათუმისა და ფოთის გეოგრაფიული პოტენციალი და არსებული წყლის სიღრმე არ იძლევა მეგასაზღვაო გემების მიღების საშუალებას. ასევე, პორტში შემოსული ტვირთის დამუშავება და დროული ტრანსპორტირება შედარებით ნაკლებად დასახლებულ სივრცეს, შიდა და გარე საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას საჭიროებს.

„ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ადგილი „აბრეშუმის გზაზე" კიდევ უფრო სტაბილური და მდგრადი გახდეს, ანაკლიის პორტის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს",- განაცხადა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობის ინიციატივა მთავრობის ნაცვლად ბიზნესმენ თემურ ქარჩავასგან მომდინარეობს. 2008 წლამდე ის რუსეთში საქმიანობდა, მას შემდეგ კი საქართველოში რამდენიმე პროექტი წამოიწყო. დაარსა შპს „ანაკლია პორტი" და „ანაკლია ეკო პარკი".

მას ანაკლიის სანაპიროზე ნავსადგურის პროექტის იდეა წლების წინ გაუჩნდა, ძირფესვიანი გამოკვლევებისა და ნიადაგის შესწავლის შემდეგ კი, ინიციატივა ქვეყნის იმდროინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს შესთავაზა. მისი თქმით, პორტის მშენებლობის უპირობოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია შავი ზღვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყალქვეშა კანიონი, რომელიც ანაკლიასთან გადის. აქ საზღვაო პორტის სიღრმე შესაძლოა 20.5 მეტრი იყოს, რაც ბათუმში -14, ხოლო ფოთში 8.5 მეტრია. ასევე, ანაკლიის ნავსადგურის პრიორიტეტი განსაზღვრული დაუსახლებელი და სუსტად ათვისებული ტერიტორიაა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა არ მოითხოვს ზღვისგან დამცავი ძვირადღირებული ნაგებობების მშენებლობას.

იდეის ავტორის კონსორციუმი ტენდერში უპირობო ლიდერი უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს, ქარჩავას მჭიდრო კავშირები აქვს ჩინეთის უმსხვილეს კომპანიებთან, რომელთაგან ერთ-ერთი „*Power China*" მისი კონსორციუმის მთავარი პარტნიორია. ანაკლიის პორტის ძირითადი მომხმარებელი სწორედ ჩინეთი იქნება, ამიტომ პროექტში ჩინური მხარის მონაწილეობა მნიშვნელოვანი დეტალია. ტენდერში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" გამოჩენის შემდეგ, ქარჩავა ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებდა, რომ მთავრობა მისი პარტნიორი კომპანიებისთვის არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა და მსგავს პირობებში მათთან თანამშრომლობა ვერ მოხერხდებოდა. ხელის შემშლელ ფაქტორებზე ვრცლად საუბარს ის ტენდერის დამთავრების შემდეგაც აპირებდა, თუმცა დღემდე ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ანაკლიის ნავსადგური სტატეგიულად ყველაზე მოკლე გზა იქნება ჩინეთიდან ევროპამდე. ევროპაში გაყიდული პროდუცქიის უმეტესი ნაწილი ჩინეთშია წარმოებული, „აბრეშუმის გზის" ამოქმედება კი ახალი პორტის გავლით ტვირთის გადატანის დროს ორ კვირამდე შეამცირებს. ეს გზა უკვე არის ინტერესის სფერო 40 მილიარდიანი ჩინური ინვესტიციისთვის. პორტის ამოქმედება ასევე ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონის განვითარებას, რადგანაც ის გახსნის სავაჭრო გზას კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და უზბეკეთი. კონტრაქტის თანახმად, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი" ასევე განავითარებს თავისუფალ ინდუსტრიალ ზონას, რომელიც ხელს შეუწყობს პორტის მუშაობას და ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების თანამშრომლობას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებით, მშენებლობის პროცესში დასაქმებული 3 400 ადამიანი იქნება, შემდგომ კი, პორტში 6 200 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ჩეხური მხარე საქართველოში ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელებით დაინტერესდა

9 თებერვალს საქართველო-ჩეხეთის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მე-2 სხდომა გაიმართა, რომელიც გახსნეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და ჩეხეთის ინდუსტრიისა და ვაჭრობის მინისტრმა იან მლადეკმა.

სხდომაზე საუბარი წარიმართა ტურიზმის სექტორში გამოცდილების გაზიარების კუთხით და ხაზგასმით აღინიშნა ჩეხეთისა და საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადის ზრდას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ჩეხური მხარე შეისწავლის საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებულ პროექტებს და განიხილავს ინვესტირების შესაძლებლობას. ამასთან, ჩეხურმა მხარემ განსაკუთრებული ინტერესი გამოთქვა ჰიდროპროექტების მიმართ.

ჩეხეთი საქართველოსთან ასევე ითანამშრომლებს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ *ENTSO-E*-ში (გადამცემის სისტემების ოპერატორების ევროპული კავშირი-ელექტროენერგია) დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების საკითხში. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის ევროპული კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოების კუთხით.

გარდა ამისა, მხარეები მხარს უჭერენ „სამხრეთ გაზის დერეფნის“ განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოს, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის გაღრმავებაზე, კერძოდ მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეღვინეობის, მცენარეთა დაცვის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტო სანიტარიის კუთხით.

კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ, ხელი მოეწერა საქართველო - ჩეხეთის ერთობლივი ეკონომიკური კომიტეტის მე-2 სხდომის ოქმს.

კომისიის სხდომის ფარგლებში ასევე ხელი მოეწერა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოსა (GeoSTM) და ჩეხეთის სტანდარტების, მეტროლოგიისა და ტესტირების სამსახურს (ÚNMZ) შორის.

სხდომის მომდევნო დღეს საქართველოს ვიცე - პრემიერმა, ეკო-ნომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და ჩეხეთის ინდუსტრიისა და ვაჭრობის მინისტრმა იან მლადეკმა საქართველო-ჩეხეთის ბიზნეს-ფორუმი გახსნეს და ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლების წინაშე მოხსენებით წარსდგნენ.

ბიზნეს ფორუმს 31 ჩეხური და 85 ქართული კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო. ჩეხური ბიზნესი წარმოადგენდა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა სარკინიგზო პროდუქცია-დანადგარები, საბანკო-საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი-ლოგისტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სამედიცინო ტურიზმი, ჯანდაცვა, ფარმაცევტული საშუალებები, მშენებლობა, ელექტრო ლოკომოტივები და სხვა.

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ფორუმზე საუბარი შეეხო საქართველოს ეკონომიკის ყველა იმ მიმართულებას, რომელთა მიმართაც ჩეხური ბიზნესის წარმომადგენლებმა ინვესტიციების განხორციელების ინტერესი გამოხატეს. მათ შორის, საქართველოში ლუდსახარშისა და ლუდის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლის საკითხიც დასახელდა.

,,კერძო სექტორი არის ის, ვინც ანვითარებს ეკონომიკას, ვინც რეალურად უწყობს ხელს ქვეყნის წინსვლას. შესაბამისად, ასეთი ღონისძიებები იმის საწინდარია, რომ ორი ქვეყნის კერძო სექტორს შორის ურთიერთოებები განვითარდეს და გაღრმავდეს. აქ არის ჩეხეთის კომპანიის 30–მდე წარმომადგენელი. მათ შორის, არის ძალიან კონკრეტული წინადადებები, რომ საქართველოში ინვესტიციები განხორციელდეს“, - განაცხადა ქუმსიშვილმა.

მინისტრის თქმით ასევე არის ინტერესი ქართული მხრიდან გარკვეული შეთავაზებების და იმედოვნებს, რომ აღნიშნული ფორმუმის შედეგად გამოიკვეთება საკმაოდ წარმატებული გარიგებები უკვე კერძო სექტორის მიმართულებით. კონკრეტულად - დაინტერესება არსებობს საქართველოში ლუდის სახარშის და ლუდის ქარხნის აშენების, ასევე არის კიდევ რამდენიმე დაინტერესება. დღეს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას საჰაერო ნავიგაციასა და ჩეხურ კომპანიას შორის, რომლითაც საჰაერო ნავიგაცია ყიდულობს ფრენების საკონტროლო სარეზერვო სისტემას.

ბიზნესფორუმის ფარგლებში ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატასა და ჩეხეთის სავაჭრო პალატას შორის.

ბიზნესფორუმზე, ასევე, გაფორმდა შეთანხმება ქართულ კომპანია „საქაერონავიგაცია“-სა და ჩეხურ კომპანია „ICZ“-ს შორის შეთანხმების ხელმოწერა საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი სარეზერვო სისტემის შეძენა-მონტაჟის თაობაზე. შეთანხმების თანახმად, ჩეხური წარმოების სარეზერვო სისტემა დაყენებული იქნება თბილისის საჰაერო მოძრაობის მართვის რაიონულ ცენტრში და ჩაანაცვლებს ამჟამად არსებულ ამერიკული წარმოების სარეზერვო სისტემას, რომლის ექსპლუატაციის ვადა 2016 იწურება. პროექტის ღირებულება 1.5 მილიონი ლარია, სამონტაჟო სამუშაოებს, ხელშეკრულების თანახმად, ჩეხური კომპანია ICZ თავად ჩაატარებს. საქართველო - ჩეხეთის ბიზნესფორუმი დასრულდა B2B ფორმატის შეხვედრებით, რომლის დროსაც გაიმართა 178 შეხვედრა ქართულ და ჩეხურ კომპანიებს შორის.

კანონი "ჰელიბიუჩი ბრძნობების შეუჩაცხყოფის შესახებ" დისკრიმინაციული ხასიათისაა

ირაკლი ფავლენიშვილი

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, "რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა" დასჯადი ხდება. კომიტეტზე განხილვისას, კანონპროექტში შესწორებები შევიდა და შემდეგი ფორმულირება მიიღო - "პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 600 ლარია. რელიგიური სიწმინდეებისა და საკულტო ნაგებობების წაბილწვა 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს". აღნიშნულმა კანონპროექტმა სამოქალაქო სექტორში დიდი რეზონანსი გამოიწვია. კანონპროექტის ინიცირებას კრიტიკულად შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც. მისი თქმით, ეს კანონპროექტი ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, ამასთან, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას.

კანონპროექტის შესახებ ეჭვებს ბადებს და მას, როგორც სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი რეგულაციის სტატუსს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ის ფაქტი, რომ მისი ინიციატორი სოსო ჯაჭვლიანია. დეპუტატი, რომელიც თავისი ოდიოზური, მათ შორის ქსენეფობიურ - ჰომოფობიური, განცხადებებით გამოირჩევა. გარდა ამისა, კანონპროექტის ავტორია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი, ლევან ვასაძის თანამებრძოლი, ზვიად ტომარაძე, რომელიც ასევე მკაცრად კონსერვატიული და „შავრაზმული" შეხედულებებით არის ცნობილი. ეს ყოველივე იმ მოსაზრებას აძლიერებს, რომ კანონპროექტის მიღებით საფრთხე შეექმნება სეკულარულ და დემოკრატიულ საზოგადოებას და რეალურად პირები, რომელთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაც დაისჯება, იქნებიან მართმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის წევრები. მსგავსი კანონის მიღება საზოგადოებაში, სადაც ობსკურანტული და რადიკალური განწყობილებები მაღალია (თუნდაც 2013 წლის 17 მაისის მოვლენები გავიხსენოთ) არის უაღრესად სახიფათო, რამდენადაც გამოხატვის თავისუფლება საფრთხის ქვეშ დგება. სამართალი ვერ მოაწესრიგებს კავშირს ადამიანსა და ღმერთს შორის. ის ვერ მოითხოვს, რომ ღვთის რწმენა ყველასათვის სავალდებულო იყოს. სამართალი ადგენს მხოლოდ იმას, რაც საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულოა. რწმენა მოქალაქის ინდივიდუალური უფლებაა და არა სახელმწიფოს ან კანონის საქმე. ეს კანონი ნოყიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოებაში ფუნდამენტალიზმის გაძლიერებისთვის. ფუნდამენტალიზმი კი არ ტოვებს თავისუფალ ადგილს დისკურსის, კრიტიკისა და განსხვავებული შეხედულებისათვის. კონსტიტუციით დადგენილ წესრიგში ანუ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, ყველამ: მორწმუნემ და არამორწმუნემაც, თავი უნდა იგრძნოს როგორც საკუთარ სამშობლოში. კონსტიტუციაში მოხსენიებული ღვთის იდეა აბსტრაქტულია. ხოლო კონსტიტუციის ლეგიტიმაციის წყარო არის არა რელიგია, არამედ ქართველი ერი, რომელიც შედგება სრულიად განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებისგან.

სიტყვის თავისუფლება არის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ ორი ერთდროულად არსებული მიზეზით: პირველი, როცა ის საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და მეორე, მას არ უნდა გააჩნდეს ღირებულება პოლიტიკურ - სოციალური თვალსაზრისით. ამ ეტაპზე საქართველოში საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე არ ექმნება, ხოლო აღნიშნულ კანონს გააჩნია პოლიტიკური ღირებულება, რადგან ის თავისუფლად შეიძლება ზღუდავდეს პოლიტიკურ მოსაზრებასაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონპროექტი ანტიკონსტიტუციური ხასიათის მატარებელია. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თეზისს, რომ პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები. რელიგიური გრძნობა კი, თავისთავად მოქალაქის სუბიექტურ გრძნობას წარმოადგენს მისი შინაარსიდან გამომდინარე. ახალი კანონით მორწმუნე ადამიანები პრივილეგირებულ მდგომარეობაში დგებიან სხვა რწმენის მოქალაქეებთან შედარებით. ეს მიდგომა კი, არღვევს სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს.

კანონის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ ძირითადად რელიგიური გრძნობების შეტევის ობიექტი არის მართლმადიდებლური ეკლესია. ქვეყანაში სადაც, სხვა დანარჩენ ინსტიტუციებს შორის ყველაზე დიდი ნდობით საზოგადოებაში მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია სარგებლობს, რომლსაც სახელმწიფო ყოველწლიურად გადასცემს სასოფლო-სამეურნეო მიწებს და მილიონობით დოლარს და სადაც რელიგიური ფანატიზმის შემთხვევები ბევრია, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ფუნდამენტალიზმის და განსხვავებული აზრის მიუღებლობის სამართლებრივ წახალისებაზე, არამედ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების და პლურალიზმის მხარდაჭერაზე.



საქართველოში H1N1 ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა ბასილეებით მაღალია ვიდრე ცნობილია

ნინი ჯაფარიძე ექსკლუზივი

საქართველოში ე.წ. ღორის გრიპით უკვე 13 ადამიანი გარდაიცვალა. თუ ამ ვირუსის შესახებ ადრე მხოლოდ ყურმოკვრით გვესმოდა, ახლა მის შესახებ თითქმის ყველა ოჯახში საუბრობენ. ინფიცირებულთა შორის არიან ჩვენი ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახის წევრებიც. რამდენიმე დღის წინ მსგავსი პრობლების წინაშე თავადაც აღმოვჩნდი. მაღალმა სიცხემ, სუნთქვის უკმარისობამ და ხშირმა ხველამ თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფომდე მიმიყვანა. პალატები სავსე იყო ინფიცირებული ადამიანებით. ადგილები კი თითქმის ყველა საავადმყოფოში შეზღუდული იყო. ჩნდება კითხვა რამდენი ინფიცირებული ადამიანია დღეს საქართველოში? რატომ არ არის გამოცხადებული ეპიდემია და ხომ არ მალავს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ინფიცირებულთა რეალურ რიცხვებს? ეჭვებს გასულ კვირას "ობზერვერში" დაბეჭდილი ინტერვიუც აძლიერებს, სადაც ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი ვარაუდობდა, რომ "ღორის გრიპი" შესაძლოა ხელოვნურად ყოფილიყო შექმნილი და გავრცელებული. ამ და სხვა შეკითხვებით ჩვენ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ამირან გამყრელიძეს დავუკავშირდით.

ბატონო ამირან, გასულ კვირას "ობზერვერთან" ინტერვიუში ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა განაცხადა, რომ H1N1 ე.წ. ღორის ვირუსი შესაძლოა სწორედ ლუგარის ლაბორატორიაში მუშვდებოდეს. თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით ამის შესახებ?

ინფორმაცია, რომელსაც ეს ადამიანი ავრცელებს სიმართლეს არ შეესაბამება. მე რამდენჯერმე გავაკეთე განმარტება როგორც ქართული, ასევე უცხოური ტელევიზიებისთვის. ვიმეორებ, რომ ლუგარის ლაბორატორია არის მაღალი დონის ბიო - სამედიცინო კვლევითი ცენტრი, ხოლო ის, რასაც სილვერმანი წერს, ტყუილია.

მაღალი დონის ბიო - სამედიცინო ლაბორატორიაშიც რომ საიდუმლო კვლევებს ატარებდნენ არ შეიძლება? სილვერმანის განმარტებით, „ღორის გრიპი" შესაძლოა მოსახლეობაში ხელოვნურად ვრცელდებოდეს.

არა, ეს გამორიცხულია.

სხვათაშორის, ამ ადამიანს აქვს ცენტრის რუკა და ამბობს, რომ ყველაფრის დამტკიცება შეუძლია.

როგორც გითხარით, ამაზე მეტ კომენტარს არ გავაკეთებ. ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

თებერვალში ინფიცირებულთა რაოდენობამ იმატა და 250-დან 357-მდე ავიდა. რატომ გაიზარდა ეს რიცხვები და ხომ არ უნდა ველოდოთ ვირუსის კიდევ უფრო გამწვავებას?

ეს მონაცემები კვირების მიხედვით არის გამოყვანილი. აი, მაგალითად, მე-4 კვირაში ინფიცირებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა - 357 ავადმყოფი. მე-5 კვირაში ეს რაოდენობა 310-მდე შემცირდა. ეხლა მეექვსე კვირაა. ინფორმაცია ორშაბათობით ჯამდება, თუმცა მგონია, რომ დინამიკა ნელ-ნელა გაუმჯობესდება. სამწუხაროდ, არიან მძიმე ავადმყოფებიც. ზოგს გვიანი მომართვიანობაც აქვს, რის გამოც გვაქვს გარდაცვალების შემთხვევები. თუმცა პიკი გადავლილია და ეპიდემიის ზღვარზე არ ავსულვართ.

რა კრიტერიუმებით დგინდება ეპიდემია და რატომ ითვლება 100 ათას ადამიანზე 500 ინფიცირებული კრიტიკულ მდგომარეობად და 357 ინფიცირებული ჩვეულებრივ მოვლენად?

ეპიდემიური ზღვარი ქვეყნების მიხედვით მერყეობს. ყველა ქვეყანას და ყველა დაავადებას, მათ შორის დიფტერიასაც და შავ ჭირსაც, თავისი კრიტერიუმი აქვს. საქართველოსთვის, კვლევების მიხედვით, ეს კრიტიკული რაოდენობა არის 500. რუსეთს აქვს -1000. უკრიანას, თუ არ ვცდები -700. ყველა ქვეყანას თავისი ზღურბლი აქვს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ახსენეთ, გავეცანი მათ კვლევებს. 2009 წელს, მაშინ, როდესაც ვირუსი პირველად დაფიქსირდა, მექსიკაში ინფიცირებულთა რაოდენობამ 4000 მიაღწია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კი ეს მდგომარეობა პანდემიის მე-5 ფაზად შეაფასა. საქართველოში ინფიცირებულთა ციფრი გაცილებით მაღალია, რატომ არ არის გამოცხადებული ეპიდემია?

კარგი შეკითხვაა, მაგრამ ახლავე აგიხსნით. ეს ციფრი იქიდან გამომდინარეობს, რომ მაშინ სხვა სიტუაცია იყო. ვირუსმა მოიცვა ბევრი ქვეყანა და ვრცელდებოდა ძალიან აგრესიულად. 2009 წლის შემდეგ კი, მოსახლეობაში გარკვეული იმუნიტეტი ჩამოყალიბდა. არსებობს ვაქცინა და ადამიანები იცრებიან კიდეც. დიდი განსხვავებაა 2009 წელსა და 2016 წელს შორის.

მოსახლეობის რომელ ჯგუფს აქვს ყველაზე ძლიერი იმუნიტეტი ვირუსის წინააღმდეგ?

აცრილ ადამიანს იმუნიტეტი უყალიბდება, მაგრამ გრიპის საწინააღმდეგო აცრა 100%-იან გარანტიას მაინც არ იძლევა. დაცვის კოეფიციენტი 80-85%-ის ფარგლებში მერყეობს. ზოგიერთი ჯგუფებისთვის აცრის გაკეთება რეკომენდირებულიც არის.

თუ რეკომენდირებულია ალბათ უფასოც არის, არა?

გრიპის საწინააღმდეგო აცრა არ ირიცხება აუცილებელ აცრებს შორის, თუმცა ზოგიერთი კონტიგენტისთვის ის მკაცრად არის რეკომენდირებული. ბოლო სამი წელიწადია რისკ ჯგუფებს უფასოდ ვცრით, ესენი არიან: ბავშვთა და მოხუცთა სახლებში მყოფი ადამიანები. დიალიზზე მყოფი ადამიანებიც. საერთო ჯამში 12 ათასი აცრა გვაქვს გაკეთებული.

ისევ ინფიცირებულთა რაოდენობას მინდა დავუბრუნდე. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ რაიონებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანები არც თუ ისე ხშირად სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით. ამასთან ზამთარია, არსებობს ტრანსპორტირების პრობლემაც. იქნებ ინფიცირებულთა რიცხვი იმაზე მეტია, ვიდრე ვარაუდობთ?

ეს ასე არ არის და ახლავე მოგახსენებთ. ინფიცირებულთა რაოდენობას ჩვენ სპეციალური ინსტრუმენტით ე.წ. სენტიმელური კვლევით ვადგენთ. ამის მიხედვით ხდება ქვეყანაში დაავადების გავრცელების მიახლოებული მაჩვენებლის გამოთვლა. ამ შემთხვევაში კი, გრიპის. ეს სპეციალური ინსტრუმენტი დამუშავებულია ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ. საკმაოდ ზუსტ ინფორმაციას გვაძლევს. გეუბნება თუ როგორი გავრცელების მაჩვენებელია 100 ათას მოსახლეზე და როგორია ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. ჩვენ ვუყურებთ ამ ორ მაჩვენებელს და ასე ვაფასებთ სიტუაციას.

ბატონო ამირან ცენტრის ვებგვერდსაც გავეცანი, იქ ნათქვამია, რომ საქართველოში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე სტაბილური მდგომარეობაა, ეს მართალია?

ეს ინფორმაცია ყოველდღიურად იცვლება, წელს საშუალო დაზიანების მაჩვენებელი გქვონდა.

"გორდას" ახალი სიცოცხლე განახლებული ოპერისა და გალეტის თეატრში

12 თებერვალს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, საბალეტო დასმა დავით თორაძის „გორდა“ წარმოადგინა.

საბალეტო წარმოდგენის დაწყებამდე, თეატრის ცისფერ დარბაზში გამოფენა გაიმართა, რომელიც ბალეტ „გორდას“ ისტორიას ასახავდა.

„გორდა“ საბალეტო დასის ხელმძღვანელის, ნინო ანანიაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აღდგა. ბალეტის ახალ რედაქციაზე საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორები მუშაობდნენ; დეკორაციები დავით მონავარდისაშვილს, ხოლო კოსტიუმები ანა კალატოზიშვილს ეკუთვნის. „გორდას“ რევაზ ტაკიძემ უდირიჟორა.

„გორდა“, რომლის საპრემიერო ჩვენება ნახევარი საუკუნის წინ იყო დღეს ნამდვილად მეორე სიცოცხლეს იძენს. მე ძალიან მიხარია, რომ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო ამ სპექტაკლის აღდგენაზე მუშაობა. ვისურვებდი, რომ არა მარტო საპრემიერო ჩვენებებზე, არამედ ყოველთვის ხალხმრავლობა იყოს ოპერისა და ბალეტის თეატრში. ჩვენს საბალეტო დასს კი წარმატებები მინდა ვუსურვო“, - განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის დავით თორაძის ბალეტი ვახტანგ ჭაბუკიანმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1949 წელს დადგა. მთავარ როლს ამ ბალეტში ლეგენდარული მოცეკვავე და ქორეოგრაფი თავად ასრულებდა. „გორდა“ ათეული წლების განმავლობაში იყო წარმოდგენილი თეატრის რეპერტუარში.

1973 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაჩენილმა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა თეატრის რეპერტუარის ყველა სპექტაკლის მხატვრობა და კოსტიუმები. ხელმძღვანელებს თავიდან მოუხდათ რამდენიმე სპექტაკლის აღდგენა. მათ შორის იყო ბალეტი „გორდა“, რომლის მორიგი პრემიერა 1974 წელს შედგა. „გორდა“ ბოლოს 1996 წელს ზურაბ კიკალეიშვილის მიერ აღდგა.

განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრი 30 იანვარს, საზეიმოდ გაიხსნა.

თეატრის შენობის რემონტი 2010 წელს ფონდ „ქართუს“ ფინანსური უზრუნველყოფით დაიწყო. პროექტის მთავარი არქიტექტორი კი, ლერი მემმარიაშვილია.

შენობას ჩაუტარდა შიდა და გარე სარესტავრაციო სამუშაოები, მათ შორის: გამაგრდა ფუნდამენტი, სახურავი ფურცლოვანი სპილენძით გადაიხურა, განახლდა და ამავდროულად პირვანდელი სახე შეუნარჩუნდა ოპერის თეატრის ფასადსა და ინტერიერს; სრულიად შეიცვალა სცენის ზედა და ქვედა მექანიზაცია; გაფართოვდა საორკესტრო ორმო; დამონტაჟდა ულტრათანამედროვე ვიდეო, აუდიო, ინტერკომი და განათების სისტემები; სრულიად შეიცვალა შიდა და გარე ქსელები; რესტავრირება გაუკეთდა და ხელახლა მოოქროვდა დარბაზი; თეატრი სრულად აღიჭურვა უმაღლესი კლასის ინსტრუმენტებით (მათ შორისაა ორი დიდი საკონცერტო სტეინვეის როიალი); სრული რესტავრაცია ჩაუტარდა დარბაზში მაყურებელთა სკამებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ რესტავრაცია ჩაუტარდა ნოდარ ერგემლიძის დიზაინით შექმნილ, ავსტრიული ბროლით დამზადებულ 600 ნათურიან ჭაღს. საერთო ჯამში, ჭაღის და მთლიანად თეატრის განათების სისტემას დაახლოებით 12 000 ერთეული ბროლის დეტალი აკლდა. იგივე მონაცემების ბროლი ფონდმა ,,ქართუმ" კომპანია ,,სვაროვსკისაგან" შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ოპერის თეატრის განათების სისტემაში გამოყენებულ ბროლის ზოგიერთ დეტალს კომპანია აღარ აწარმოებდა, ფონდი „ქართუს“ ძალისხმევით კი მოხდა ამ დეტალების სპეციალური შეკვეთა და დამზადება.

თეატრი სრულად აღიჭურვა ახალი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით; გადაკეთდა ჯანსუღ კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი (მოეწყო მცირე სცენა და საორკესტრო ადგილი); თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე. მსახიობებისთვის გაკეთდა ახალი საგრიმიოროები, ანტრაქტების დროს დასასვენებელი დარბაზი, თანამშრომლებისათვის აშენდა სასადილო; გაფართოვდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა თეატრის მიმდებარე სკვერს.

ოპერისთვის შეძენილია „პანასონიკის“ ფირმის 2 მძლავრი პროექტორი, რომელიც შეამცირებს სპექტაკლების სადადგმო ღირებულებას. ავსტრიულმა ფირმა „ვაგნერმა“ და სერბეთის ფირმამ „სვეტლიოსტმა“ განათებისათვის თანამედროვე პროჟექტორები დაამონტაჟა, გერმანულმა ფირმა „ზალცბრენერმა“ თეატრი გახმოვანების უახლესი აპარატურით აღჭურვა. დღეისათვის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას აქვს ისეთი ტექნიკური შესაძლებლობები, რომლითაც არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო დონის საუკეთესო ოპერებს.

სარემონტო სამუშაოები 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა - ამ პროცესში ჩართული იყო „ქართუ ჯგუფის“ ასეულობით თანამშრომელი. სულ ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენა და რესტავრაცია 40 მილიონ დოლარამდე დაჯდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, გერმანულ კომპანიაში „გერიეცი“ სერგო ქობულაძის ესკიზის მიხედვით, თეატრის ფარდა დაიბეჭდა.

ბალეტ „გორდას“ პრემიერები, 13 და 14 თებერვალსაც გაგრძელდა.

განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრი კი მოყვარულებს მომავალშიც არაერთ საინტერესო და სასიამოვნო წარმოდგენას შესთავაზებს.

მატვეი ვაისბერგი: იყო მხატვარი, ეს ბედისწერაა

ნინი მაჭავარიანი ექსკლუზივი

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში უკრაინელი მხატვრის მატვეი ვაისბერგის გამოფენა ,,კედელი, კედელი და სხვა" 12 თებერვალს გაიხსნა და 6 მარტამდე გაგრძელდება.

აღნიშნული გამოფენა ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავების კიდევ ერთ მცდელობაა.

ექსპოზიციაზე, რომლის ორგანიზატორები საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გალერეა „ვანდა" და კიევის არტ გაერთიანება „დუკატი" არიან, წარმოდგენილია ავტორის მიერ ბოლო 15 წლის მანძილზე შექმნილი 100-მდე ნამუშევარი. ერთ–ერთი გამორჩეული სერიაა ,,კედელი 28.01.–08.03.2014", რომელიც ავტორმა 2014 წელს, კიევში მაიდანზე მომხდარ მოვლენებში უშუალო მონაწილეობის შემდეგ შექმნა. აღნიშნული ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო უკრაინაში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილი სერიებია: ,,იუდეას უდაბნო" (2001), ,,კედელი"(2011) და ჯოტოს „ალეგორიები". ამ სერიებში გაერთიანებული ნამუშევრები შთაგონებულია იერუსალიმით, ჰალს ჰოლბეინის გრავიურებითა და სცენებით თანახიდან, რომლებიც ძველი აღთქმის ქრისტიანული ინტერპრეტაციით არის შექმნილი.

მხატვარი აღნიშნავს, რომ ჯოტოს „ალეგორიები" მართლაც არსებობს, მან ეს სათაური გამოიყენა და ამ ჟანრს „შტუდი" დაარქვა. „სიტყვა ნერთ-ერთი ცნობილი ინგლისელ მხატვარ ბეკონს ვესესხე, რომელიც ასევე ასეთ „შტუდიებს" აკეთებდა სხვა მხატვრების მიერ შემქნილი ნამუშევრებზე დაყრდნობით თავად ქმნიდა ახალ შედევრებს. ამიტომ მეც არ ვმალავ, რომ „შტუდიები" შევქმენი „ჯოტოს" მიხედვით.

იდეა, რომ გამოფენისთვის „კედელი" დაერქმია თავად მხატვრის სახელოსნოდან წამოვიდა, სადაც არსებობს უზარმაზარი სივრცე ნახატების შესავსებად. შესაბამისად, ნახატების სერია, რომელიც რამდენიმე ნამუშევრისაგან შედგება კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. "სიტყვა კედელს მხატვარობაში რამდენიმე განმარტება აქვს: გლოვის კედელი, ტირილის კედელი და ა.შ. სახელწოდება ზოგჯერ ლიტერატურული შემოქმედებიდან ან ცხოვრებისეული მოვლენებიდან გამომდინარე ჩნდება", - აღნიშნავს მხატვარი „ოზერვერთან" საუბრისას.

უკრაინელი მხატვარი და ილუსტრატორი მატვეი ვაისბერგი ცნობილია, როგორც თავისი ფერწერული ტილოებით, ისე გრაფიკული ნამუშევრებითა და წიგნის ილუსტრაციებით. 1990 წელს ავტორის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო პოდოლის ხელოვნების მუზეუმში (კიევი). ამ დროისათვის 50-ზე მეტ როგორც პერსონალურ, ასევე ჯგუფურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მათ შორის: ხელოვნების ეროვნული მუზეუმში (კიევი), ბერლინის კედლის მუზეუმში (ბერლინი), უკრაინის ინსტიტუტში (ნიუ ორკი), ევროპის სახლში (ლონდონი) და პოლონეთის სეიმში (ვარშავა) და სხვა. ავტორის ნამუშევრები დაცულია კიევის, ვილნიუსის, ბერლინის, ჩიკაგოსა და ბერკლის სხვადასხვა მუზეუმებში.

ბავშვობაში ომობანას თამაშის გარდა ძალიან უყვარდა ხატვა, როცა წამოიზარდა დედამ სამხატვრო სტუდიაში შეიყვანა, სადაც უკვე მალევე ფერწერის საფუძვლები აითვისა. სახლის ყველა კედელზე მისი ნახატები იყო გაკრული. პირველი სერიოზული ნახატი 10 წლის ასაკში შექმნა. „ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი ბავშვობისდროინდელი ნახატები. სახლში ყველაფერი მოხატული მქონდა ჭერის გარდა, იქამდე ვერ ვწვდებოდი, თორემ აუცილებლად მოვხატავდი. ძალიან მიყვარდა მამის ხატვა, იქიდან გამომდინარე, რომ მელოტი იყო, პირველ რიგში, ვხატავდი რგოლს, სადაც ვახატავდი თმებს და მერე ვხატავდი სახეს. ჩემი უსაყვარლესი ნატურა მამა იყო", - იხსენებს მატვეი.

საქართველოს პირველად 2012 წელს ეწვია და დიდი სიყვარულით საუბრობს მასზე. ელოდება, რომ გამოფენაზე ბევრი დამთვალიერებელი მივა, თუმცა გამოფენის გახნის დღეს თამამად განაცხადა, რომ მისი მოლოდინი უკვე გამართლებულია, რადგან პატივი აქვს ღონისძიება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მოაწყოს. ამაყობს, რომ თბილისში უკრაინის სახეს წარმოაჩენს და ხალხისგან დაფასებასაც გრძნობს.

„როგორც წესი, მიღებულია საქართველოზე სიყვარულით საუბარი, თუმცა ეს მართლაც ასეა. ძალიან მიყვარს ნიკო ფიროსმანი და დიდი ხანია მის შემოქმედებას ვიცნობ, მის პირველ გამოფენასაც დავესწარი, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა. ძალიან მომწონს ეს ქვეყანა და ქართველი ხალხი. ნაწილობრივ კონკრეტულად თბილისი იერუსალიმს მაგონებს თავისი სიძველით, სულისკვეთებით და ტაძრებით. თბილისი უფრო ჰგავს იერუსალიმს ვთქვათ, ვიდრე რომი. ძალიან ბევრი მეგობარი მ ყავს საქართველოში და ყოველთვის განსაკუთრებულია მათთან შეხვედრა და ურთიერთობა", - აღნიშნა მხატვარმა.

მატვეი ვაისბერგის სახელოსნო კიევის კონსერვატორიის ძველ საერთო საცხოვრებელში მდებარეობს, სადაც წლების წინ დროებით შევიდა სამუშაოდ, თუმცა დღემდე სტუდიას ადგილმდებარეობა არ შეუცვლია. შემოქმედს მუშაობა დილაობით უყვარს, სანამ მის სახელოსნოში მზე აღწევს. ყოველ დღე 4-5 საათს ხატავს, ნახატების დეტალებზე მანამ მუშაობს, სანამ არ დაიღლება.

„ყოველთვის ინტენსიურად ვმუშაობ, რაც მეხმარება, რომ ყველაფერს კარგად გავართვა თავი. ზოგს მიაჩნია, რომ ბევრი უნდა იმუშაოს. მე სწრაფად ვმუშაობ, თუმცა ნელა ვფიქრობ. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ყოველდღიურად გაქვს საშუალება მიხვიდე და შენი საქმე გააკეთო, თუმცა დროდადრო მეც მაქვს რთული სიტუაციები, რის გამოც ვერ ვმუშაობ. ცხოვრებაში არსებობს პერიოდი, როდესაც დიდხანს და ხანგრძლივად უნდა იმუშაოს ადამიანმა, ძირითადად ეს საწყისს ეტაპზეა აუცილებელი", - ამბობს მხატვარი.

უკრაინელ ხელოვანს თავის სტუდიაში, რომელიც მე-7 სართულზე მდებარეობს, ყველაზე მეტად უყვარს ყოფნა. იქ უკვე 16 წელია თავისი სამუშაო გარემო აქვს მოწყობილი, საიდანაც კიევის ძველი უბნის ხედი იშლება და მის მიხედვით პეიზაჟებსაც ქმნის.

მატვეი ფიქრობს, რომ მხატვარმა ისე უნდა იცხოვროს არ გაიყიდოს სხვადასხვა რიგ ცდუნებებზე, რომ მერე არ შერცხვეს: „იყო მხატვარი - ეს უბრალო რამე არ არის, ეს ბედისწერაა, რომელიც უნდა განვლო და ამით იცხოვრო. ჩვენს დროში ძალიან ბევრი ფონდი არსებობს, რომელში მოხვედრითაც არ უნდა ეგონოს ადამიანს, რომ უკვე შედგა და ხელში პრიზი უჭირავს. კარიერის დასაწყისში საჭიროა ძალიან ბევრი იმუშაო, იმისთვის, რომ დაიხვეწო, და განვითარდე".

რა სიახლეებთან პირის დაჯავშირებული ეროვნული გამოცდების ელექტრონულად ჩაბარება?

მარი ტაბატაძე

2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის ძირითადი ეტაპი 9 თებერვალს დაიწყო და 15 მარტს დასრულდება. მიმდინარე წელს, რეგისტრაციის პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლეა. პირველ რიგში საყურადღებოა ის, რომ წელს პირველად აბიტურიენტებს გამოცდების ნაწილობრივ ელექტრონული ფორმით ჩაბარება მოუწევთ. ფორმატის ცვლილება ითვალისწინებს ტესტის ელექტრონულად მიწოდებას - აბიტურიენტი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე წაიკითხავს. რაც შეეხება პასუხების მონიშვნის წესს, ამ მხრივ ყველაფერი უცვლელია - თითოეულ აბიტურიენტს, ძველებურად, საშუალება ექნება პასუხები მონიშნოს ან დაწეროს მისთვის განკუთვნილ პასუხების ფურცელზე.

ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებაა ის, რომ წელს აბიტურიენტებს გამოცდის დამატებისა და საგნის შეცვლის საშუალება 15 მარტიდან 1 ივნისამდე აქვთ. საყურადღებოა, რომ აბიტურიენტი ვეღარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, თუმცა, მითითებულ პერიოდში, ზემოთ-ჩამოთვლილთან ერთად შესაძლებელი იქნება ენის შეცვლაც.

როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი აცხადებს, მსგავსი ცვლილებების განხორციელების საშუალებას ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატის დანერგვა იძლევა - წინა წლებში დაზუსტებული ინფორმაცია თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, ვინაიდან ტესტები უცხოეთში იბეჭდებოდა. წელს კი, მიმინოშვილის განცხადებით, სისტემა უფრო მეტი მოქნილობით ხასიათდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდებს ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით აბიტურიენტებთან ერთად წელს პედაგოგები, სტუდენტები და მაგისტრანტობის კანდიდატებიც ჩააბარებენ. 2017 წლიდან კი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სრულად გეგმავს გამოცდების ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას.

სანამ ზემოხსენებული ცვლილების დანერგვის პროცესში გაჩენილ სირთულეებზე დავსვამთ კითხვებს, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2005 წლიდან ფუნქციონირებს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული მოდელი მალევე შეფასდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა ქვეყანაში, რომელიც ეფუძნება შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე და უნიფიცირებულ სისტემას.

მას შემდეგ ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა ცვლილება. მაგალითად, 2005 წელს ყველა აბიტურიენტი აბარებდა სამ სავალდებულო საგანს და გრანტიც სამივე საგნის მიხედვით გაიცემოდა. 2006 წელს გადაწყდა, რომ გრანტი ზოგადი უნარების მიხედვით გაცემულიყო. 2007 წელს გამოცდების პროცესში ტექნოლოგიებს ჩართვა დაიწყო. აბიტურიენტთა განაცხადები განთავსდა ინტერნეტში, რაც თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევდა გადაემოწმებინა საკუთარი აპლიკაცია. მომდევნო წელს ტექნოლოგიების როლი გაიზარდა და სწორედ 2008 წლიდან დაინერგა კომპიუტერული გასწორების სისტემა (ე.წ. *eMarker*). 2009 წლის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა გამსწორებელთა კონკურსის წესით შერჩევა. ამავე წელს გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც. მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა ტექნოლოგიების როლი ერთიანი ეროვნული გამოცდების ყველა ეტაპზე. ასევე, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროცენტიანი გრატების გაცემის სისტემა. ამასთან, აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ განაცხადი გაეკეთებინათ უფრო მეტ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მოგვიანებით, სახელმწიფომ გამოყო თანხა მისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებაზე. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ ზოგად ცვლილებებთან ერთად, სიახლეები იყო კონკრეტული საგნების ფარგლებშიც. მაგალითად, 2014 წელს უცხოური ენის გამოცდას მოსმენის ნაწილი დაემატა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებს უკვე არსებობის თერთმეტწლიანი ისტორია აქვს და ცვლილებების რაოდენობის თვალსაზრისით, ის საკმაოდ ცოცხალი და მოქმედი სისტემაა, ხშირად საუბარობენ, რომ ის საჭიროებს კიდევ უფრო მეტ გადახალისებასა და რეფორმას. ძირითადი ხარვეზი, რაც მსგავსი დისკუსიების დროს იკვეთება სკოლისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამის შესაბამისობაა. იმისთვის, რომ თითოეულ მოსწავლეს საშუალება მიეცეს სკოლაში მიღებული განათლებით შეძლოს უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით ჩაბარება, აუცილებელია ეროვნული გამოცდების სისტემის სკოლის პროგრამაზე მორგება. ვინაიდან, დღეს არსებული მდგომარეობით კი, საჯარო სკოლებში მიღებული ცოდნა არ შეესაბამება მისაღები გამოცდების სტანდარტებს.

რა სიახლეებს გეგმავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, ამჟამად უფრო აქტუალური გამოცდების ელექტრონულ ფორმატთან დაკავშირებული კითხვებია. როგორც აღინიშნა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სრულად აპირებს ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას. მაია მიმინოშვილი დადებითად ახასიათებს საგამოცდო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ ეს პროცესი გაცილებით უფრო დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველი - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არის ღია დავალებები, რომელთა შესრულების დროს აბიტურიენტებს უწევთ პასუხების დაწერა. საკითხი განსაკუთრებით რთულდება ზოგიერთ საგანთან დაკავშირებით (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია), რადგან ისინი მოითხოვენ ფორმულების დაბეჭდვასა თუ სიმბოლოების აკრეფას, რაც, თავის მხრივ, ბევრი აბიტურიენტისათვის რთულად შესასრულებელია, რადგან უმეტესობას არ აქვს მსგავსი დავალებების დასაწერად საჭირო უნარ-ჩვევები.

განსაკუთრებით საყურადღებოა დროსთან დაკავშირებული პრობლემა. რთულია განსაზღვრო, რა დრო სჭირდება აბიტურიენტის მიერ დავალების დაბეჭდვას. ამ საკითხზე საუბარისას, აღსანიშნავია, რა ჩაითვლება ბეჭდურ შეცდომად და რა აღიქმება, როგორც ცოდნის პრობლემა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამ ყველაფრის განსხვავება გამსწორებელმა უნდა შეძლოს.

საყურადღებოა ფინანსური საკითხი. მიმინოშვილის განცხადებით, არსებობს ორი ვარიანტი: შეიძინონ კომპიუტერები, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და განათლების სამინისტრომ თავისი კუთვნილი კომპიუტერები გამოცდების ეროვნულ ცენტრს დროებით დაუთმოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ელექტრონილი ფორმატის სრულად დანერგვა შეიძლება შეფასდეს როგორც რევოლუციური სიახლე. მაშინ, როცა პროცესი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში უფრო რთულია, ვიდრე სკოლის გამოსაშვები გამოცდების დროს, რომლის დავალებათა ტიპები ღია კითხვებს არ შეიცავს.

უფრო კონკრეტულად, რა ფინანსური და ტექნიკური რესურსი დასჭირდება სიახლის დანერგვას, როგორ უზრუნველყოფენ საგამოცდო ცენტრების ტექნიკურად აღჭურვას, ასევე, რამდენად დაცული იქნება ელექტრონული ვერსიები და რა ცვლილებების განხორციელება გახდება საჭირო საგამოცდო ნამუშევრების გასწორების პროცესში, ცვლილების ამოქმედების შემდეგ გახდება ცნობილი. შედეგად კი, როგორც მიმინოშვილი აცხადებს, ელექტრონული ფორმატი შექმნის შესაძლებლობას, რომ აბიტურიენტებმა უფრო მრავალფეროვანი დავალებები შეასრულონ, რაც თავის მხრივ, მათი ცოდნის უკეთ გამოვლენას უზრუნველყოფს.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35	+1	735	03:30
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55		735	03:55

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

თბილისის დინამო ევროტურნირისთვის ემზადება

ვახო ყიფიანი

სულ მალე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება. გუნდებმა მოსამზადებელი პერიოდი უკვე გაიარეს. თბილისის ,,დინამომ'' თურქეთში უკვე ხუთი ამხანაგური მატჩი გამართა.

დინამოელები 30 იანვარს მოსამზადებელ შეკრებაზე ანტალიაში გაემგზავრნენ და ბელეკის სასტუმრო „*Susesu Luxury resorts*"-ში დაბინავდნენ. თურქეთში გამართული შეხვედრებიდან ,,დინამომ'' ოთხი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა.

პირველი მატჩი თბილისელებმა ხორვატიულ ,,სპლიტთან'' გამართეს და მეტოქე 1:0 დაამარცხეს. გამარჯვების გოლი მე-17 წუთზე ჯაბა ჯიღაურმა გაიტანა. მეტოქის კარში ბურთის გატანა რამდენჯერმე შეეძლოთ ქვილითაიასა და გელაშვილსაც, თუმცა საკუთარი შანსის გამოყენება ვერ შეძლეს და მატჩიც 1:0 დასრულდა.

მეორე შეხვედრა ,,დინამომ'' ბელორუსიის ,,ბატესთან'' გამართა და მეტოქე 2:0 დაამარცხა. ანგარიში ლაშა პარუნაშვილმა გახსნა, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთი ლამაზი თავური დარტყმით გადაგზავნა მეტოქის კარში. მანამდე გოლის გატანა მათე ცინცაძეს შეეძლო, მაგრამ თერთმეტმეტრიანის შანსი ვერ გამოიყენა. მეკარე შარბიცკიმ ბურთის მოგერიება მოახერხა. მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ზაზა ჭელიძის ჩაწოდებულს ქვილითაია დახვდა საჯარიმოში და ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. თბილისელებს რამდენიმე შესაძლებლობა კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ანგარიშის გაუმჯობესება ვეღარ მოახერხეს.

დინამოელების მესამე მეტოქე სერბული ,,ვოივოდინა'' იყო. თბილისელებმა სერბებსაც აჯობეს და მეტოქე 2:1 დაამარცხეს. ანგარიში მერვე წუთზე ,,დინამოს'' ახალწვეულმა ნიკოლოზ გელაშვილმა გახსნა, სერბებმა გათანაბრება 32-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით მოახერხეს, თავი ოჟეგოვიჩმა გამოიჩინა. მეორე ტაიმში იარაბეკმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა და გუნდიც უფრო გააქტიურდა, მატჩის 69-ე წუთზე ჯაბა ჯიღაურმა გამარჯვების გოლი გაიტანა სერბების კარში და თამაში 2:1 დასრულდა.

მეოთხე მატჩში ,,დინამოს'' მსხვერპლი ბრატისლავას ,,სლოვანი'' გახდა. თბილისელებმა მეტოქეს 5 გოლი გაუტანეს. დინამოელები მთელი თამაში აკონტროლებდნენ მოედანზე სიტუაციას. კარგად გადაადგილდებოდნენ, ბურთს მარტივად და სწრაფად ათამაშებდნენ. ანგარიში 31-ე წუთზე ალექსანდრე იაშვილმა გახსნა, რომელმაც გიორგი ქვილითაიას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა. 43-ე წუთზე ქვილითაიამ სოლო რეიდი მოაწყო და ბრატისლაველთა კარი მეორედ აიღო. მეორე ნახევარში პარუნაშვილი - ჯიღაური - ჭანტურიშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. სულ მალე კიდევ ერთი გოლი ნიკოლოზ გელაშვილმა გაიტანა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა (4:0). ამის შემდეგ 77 წუთიდან 80 წუთამდე 3 გოლი გავიდა. ბრატისლაველებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს, ხოლო დინამოელთაგან გოლი გელაშვილმა გაიტანა და დუბლი შეასრულა. საბოლოოდ თბილისელებმა 5:2 იმარჯვეს, ანგარიშთან ერთად ,,დინამომ'' შემტევი, ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა.

მეხუთე შეხვედრა თბილისელებმა ლვოვის ,,კარპატთან'' გამართეს და მატჩი ფრედ დაასრულეს (3:3). თბილისელები პირველ ტაიმში უკვე 2:0-ს იგებდნენ. დუბლი გიორგი ქვილითაიამ გაიფრომა, რომელმაც ჯერ 27-ე და შემდეგ 45-ე წუთზე შემლო გოლების გატანა. მატჩის მე-60 წუთზე ლვოველებმა ანგარიში შეამცირეს, მაგრამ 12 წუთში საბა ლობჟანიძემ ანგარიშში სხვაობა ისევ ორბურთიანი გახადა. სამწუხაროდ, თბილისელებმა ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს და დარჩენილ დროში ორი გოლი გაუშვეს.

,,დინამომ'' ხუთი მატჩიდან 4 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა. 13 გოლი გაიტანა და გაუშვა 6. თბილისელებმა ნაყოფიერი შეკრება გაიარეს და მეორე წრის პირველ ტურში კი თერჯოლის ,,საპოვნელას'' დაუპირისპირდებიან.

გულშემატკივრებს იმედი დაუბრუნდათ, რომ გუნდი შეძლებს ევროტურნირის საგზურის მოპოვებას. მთავარია, ,,დინამომ'' არჩეული გზიდან არ გადაუხვიოს და ძირთადი ბირთვი შეინარჩუნოს. ერთი-ორი კარგი ლეგიონერის დამატება კი, გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს.

სპორტული სიახლეები

რაგბი

საქართველოს ეროვნულმა სარაგბო ნაკრებმა ერთა თასის მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრაში პორტუგალია ლისაბონში 3:29 დაამარცხა. გამარჯვებასთან ერთად პრემიალური ქულაც მოვიპოვეთ. ლელოები გიორგი თხილაიშვილმა, მერაბ კვირიკაშვილმა, ზურაბ ჟვანიამ და ბუკა შარიქაძემ დადეს.

ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკება დაასრულა სომხურ მხარესთან, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ 1-ელ და 3 მარტს საქართველოს 17-წლამდე ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ორივე შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, 14 საათზე გაიმართება და ჩვენი მეტოქე სომხეთის 18-წლამდე ნაკრები იქნება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 17-წლამდე ნაკრები, 15-20 მარტს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ელიტ - რაუნდისთვის ემზადება და ამისთვის იანვარში მინსკის საერთაშორისო ტურნირზეც ითამაშა.

კალათბურთი

თბილისის ჩემპიონი კალათბურთში 14-წლამდელთა შორის თბილისის „დინამოა".

მამუკა ტურაშვილისა და ვასილ გოგუას გაწვრთნილმა დინამოელებმა ფინალურ მატჩში „ჰიუნდაი" დაამარცხეს და დედაქალაქის საუკეთესო გუნდის ტიტული დაისაკუთრეს.

თბილისელებმა მეტოქე 7-ქულიანი უპირატესობით 53:60 დაამარცხეს. ჰიუნდაი 53:60 დინამო 14:16, 10:16, 16:15, 13:13 ჰიუნდაი: ს. გაჩეჩილაძე 16, დ. გოგაძე 9, ლ. ჩაჩანიძე 8 დინამო: გ. ბიგანაშვილი 21, ი. კილაძე 14, ნ. იმედაიშვილი

ძიუდო

პარიზში გამართულ ძიუდოს გრანდ სლემზე ავთანდილ ჭრიკიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ვარლამ ლიპარტელიანი ბრინჯაოს დასჯერდა.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.

0179, Tbilisi, Georgia

E: info@observer.com.ge

T: +995 557 68 36 53

ISTI FOTINTI

სავაჭრო & გასართობი ქალაქი

გართობის • დასვენების
შოპინგის
ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi

16 333

www.eastpoint.ge